ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2626538

ნომერი: AR1408360

თარიღი : 27.05.2016

გაცემის თარიღი : 01.06.2016

გაცნობის თარიღი : 03.06.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აკური , N 31 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ჩხაიძე პ/ნ 01023000419
- თბილისი დ. წყნეთი შ.რუსთაველის ქ. N 28

ორგანიზაცია:

- შპს ,,ღვინის სასახლე" კოდი: 404927228

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : #1848416
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 20.04.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელზეც გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ბრძანების შესაბამისად არ არის მოწყობილი შშმ პირთათვის განკუთვნილი ჰიდრავლიკური ამწე, საკადასტრო საზღვრებს გარეთ მოწყობილია ქვით მოპირკეთებული ბაქანი, დაბალი კედელი და ტექნიკური ორმო, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ბრძანების თანდართული ანაზომიდან ირკვევა, რომ გადაცდენა დასაშვებზე მეტია. ასევე მინაბლოკების ნაცვლად მოწყობილია ღიობები (ფრამუგები), რისთვისაც საჭიროა წარმოადგინოთ იმ საკადასტრო ერთეულ(ებ)ის მესაკუთრ(ეებ)ის თანხმობა, ვის მხარესაც დაფიქსირებულია მიჯნის ზონაში მოწყობილი ღიობები.
აქვე გაცნობებთ, რომ საჭიროა წარმოაგდინოთ ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი ხარვეზების გამოსწორების შესახებ.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.